

სხვადასხვა უზრუნველყოფის მინიმალური ხარჯის განსაზღვრა საქართველოს მთის მდინარეთა გარემოსდაცვითი ხარჯის გაანგარიშებისათვის

ნიკა წითელაშვილი

ელ-ფოსტა: nika.witelashvili@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

თანამედროვე მსოფლიოში მწვავედ დგას მდინარეთა გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება. ბოლო პერიოდში მთის მდინარეებზე მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გააქტიურებასთან ერთად განსაკუთრებით აქტუალურია გახდა. საქართველოში დამკვიდრებული გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრის არსებული პრაქტიკა გულისხმობს საშუალო მრავალწლიური ხარჯის მინიმუმ 10%-ის დატოვებას მდინარის კალაპოტში, რაც დამკვიდრებული მიდგომაა და არა ნორმატიული მაჩვენებელი, ეს კი იწვევს უთანხმოებას დამპროექტებლებს, დეველოპერებსა და სანებართვო სტრუქტურის წარმომადგენლებს შორის.

სხვადასხვა წყალმომხმარებლისათვის გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე ჰიდროლოგიურზე, ჰიდრობიოლოგიურზე და სხვა. მიუხედავად იმისა რომ გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრასთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება გამოითქვა საკითხი მაინც არ არის გადაწყვეტილი სასურველ დონემდე.

გამომდინარე გარემოსდაცვითი ხარჯის ანგარიშის კომპლექსურობისა, მასში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სხვადასხვა ჰიდროლოგიური მახასიათებლები, მათ შორის მდინარეთა მინიმალური ჩამონადენი. ამ მხრივ გათვალისწინებულია ის დაშვება, რომ გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრისას წყლის რაოდენობა არ უნდა იყოს ბუნებრივ პირობებში მდინარეთა მინიმალური ჩამონადენზე ნაკლები. შესაბამისად ანგარიშში მოცემულია საქართველოს 770 მდინარის ინფორმაცია, რომელთათვისაც განსაზღვრულია სხვადასხვა უზრუნველყოფის ერთდღიანი, ათ დღიანი და ოცდაათ დღიანი მინიმალური ხარჯები და შედარებულია ამავე აუზებში საშუალო წლიური ჩამონადენის წილთან.